იურიდიული დახმარების სამსახური

მის: თამარ მეფის გამზ. №14, 0112
თბილისი, საქართვერო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 45 „26" „სექტემბერი" 2016 წ.

„სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2016 წლის 02 მარტის N39 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის, ამავე გადაწყვეტილების მოქმედების ვადის გაგრძელებისა და შესაფასებელ საქმეთა შერჩევის დროებითი წესის განსაზღვრის შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით,

გადაწყვიტა

1. „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2016 წლის 02 მარტის N39 გადაწყვეტილების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2017 წლის 01 აპრილამდე.

2. „შეფასების სისტემის კონცეფციით, საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურების ხარისხისა და იმპლემენტაციისათვის აუცილებელი ინსტრუმენტების შესახებ" საქმეთა შერჩევის შემთხვევითობის პრინციპი შემუშავდეს საპილოტე რეჟიმის დასრულებამდე.

3. საპილოტე რეჟიმში, „შეფასების სისტემის კონცეფციით, საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურების ხარისხისა და იმპლემენტაციისათვის აუცილებელი

ინსტრუმენტების შესახებ“ გათვალისწინებული საქმეთა შერჩევის პრინციპი განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ადვოკატი/ბიუროს უფროსი შეფასდეს მის მიერ შეფასების პერიოდში, წარმოებაში მიღებული და შემდეგ ეტაპებზე დასრულებული 5 (ხუთი) საქმის საფუძველზე, მათ შორის სასურველია.

3 (სამი) საქმე სადაც:

- პირველი წარდგენის სხდომაზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება;
- წინასასამართლო სხდომაზე/სხდომამდე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება;
- სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება;

2 (ორი) საქმე სადაც:

- პირველი/სააპელაციო/საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არსებითი განხილვის შედეგად დადგა განაჩენი.

ბ)შესაფასებლად წარსადგენ საქმეებს პილოტური რეჟიმის პერიოდში ადვოკატი/ბიუროს უფროსი განსაზღვრავს საკუთარი ინიციატივით;

4 გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარე: ე. ფოფხაძე

თავმჯდომარის მოადგილე: ხ. ფურელიანი

საბჭოს წევრები: მ. კვაჭაძე

ვ. ჯიჯელავა

კ. სოფრომაძე

ზ. გვიშიანი